საინფორმაციო ბიულეტენი | ნოემბერი

ნინო წილოსანმა რეიკიავიკის გლობალურ ფორმუმში მიიღო მონაწილეობა

9-10 ნოემბერს ნ ინო წილოსანმა რეიკიავიკის გლობალურ ფორუმში (WPL Reykjavik Global Forum 2021) დისტანციურად მიიღო მონაწილეობა. საბჭოს თავმჯდომარემ მონაწილეებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს გამოცდილება გაუზიარა. ფორუმი ყოველწლიურად იმართება და ათობით სპიკერს აერთიანებს, რომლებიც ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას უზიარებენ.

შეხვედრა კენ მაკინტოშთან და NDI-ის ექსპერტებთან

10 ნოემბერს საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი და საბჭოს წევრი, რატი იონათამიშვილი შოტლანდიის პარლამენტის ყოფილ სპიკერს, კენ მაკინტოშსა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ექსპერტებს შეხვდნენ. შეხვედრაზე განხილულ საკითხს წარმოადგენდა იმ სახელმძღვანელოს შემუშავებაა, რომელიც პარლამენტს საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგში დაეხმარება.

შეხვედრა GREVIO-ს კომიტეტის წარმომადგენლებთან

8 ნოემბერს საბჭოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს GREVIO-ს კომიტეტის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრაში, რომელსაც მთავრობის ადმინისტრაციამ უმასპინძლა. შეხვედრაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი და სამომავლოდ დაგეგმილი ნაბიჯები განიხილეს.

12 ნოემბერს საბჭოს სამდივნო მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას დაესწრო. ღონისძიებაზე GREVIO-ს წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს პირველადი დაკვირვებები გააცნეს.

უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება

11 ნოემბერს ნინო წილოსანმა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომაში მიიღო მონაწილეობა, სადაც დამსწრეებს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფცია და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია გააცნო.

კვლევითი საქმიანობა

საბჭოს ინიციატივითა და დონორების მხარდაჭერით განახლდა ანგარიში „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები“. აღნიშნული პუბლიკაცია წარმოადგენს სექტორში მოღვაწე ორგანიზაციებისა თუ ექსპერტების მთავარ მიგნებებსა და მოსაზრებებს საკანონმდებლო ჩარჩოსა და კანონმდებლობის აღსრულების პროცესში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინების უზრუნველყოფისათვის. მასში მოცემულია როგორც მოკლევადიანი, აგრეთვე გრძელვადიანი პერსპექტივები კონკრეტული რეკომენდაციების შესრულებისათვის.

საინფორმაციო ბიულეტენი | ნოემბერი

ჩატარდა საბჭოს სხდომა

ფოტო: საქართველოს პარლამენტი

15 ნოემბერს გამართულ სხდომაზე საბჭოს წევრებმა, შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს. საბჭომ მოისმინა თემატური მოკვლევის ,,ქალთა უფლებები არაფორმალურ ეკონომიკაში და Covid-19-ის გავლენა მათზე'' ანგარიში და დააინიცირა ახალი თემატური მოკვლევა. ნინო წილოსანმა წარადგინა ორი თემატური მოკვლევის ანგარიში.

საბჭო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გლობალურ 16 დღიან კამპანიას შეუერთდა

25 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭო ჩაერთო გლობალურ კამპანიაში, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. საბჭოს სოციალურ ქსელებში განთავსდა წევრთა ვიდეო მიმართვა ქართულ და ინგლისურ ენებზე. ვიდეო ინგლისური სუბტიტრებით ხელმისაწვდომია საბჭოს Twitter და Youtube ანგარიშებზე, ხოლო ქართულენოვანი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ ბმულზე: https://fb.watch/9Aj6mT4PvE/
კამპანიის ფარგლებში საბჭოს არაერთი აქტივობა აქვს დაგეგმილი.

შეხვედრა აზერბაიჯანის დელეგაციასთან

15 ნოემბერს საბჭომ აზერბაიჯანის დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრა სასწავლო ვიზიტის ფარგლებში გაიმართა და მიზნად ისახავდა სტამბულის კონვენციის რატიფიცირებისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე კარგი პრაქტიკების გაზიარებას. მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს განვლილი გზა სტამბულის კონვენციის რატიფიცირებამდე, მისი შედეგები და სახელმწიფოს მთავარი მიღწევები.

სტამბულის კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩატარდა 4 ზეპირი მოსმენა

3 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭომ ,,სტამბულის კონვენციის ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვისა და მათი აღსრულების ეფექტიანობის'' შესახებ თემატური მოკვლევის ფარგლებში იმ ორგანიზაციებს მოუსმინა, რომლებმაც მოკვლევის პირველ ეტაპზე მოსაზრებები წერილობითი ფორმით გაუზიარეს თემატური მოკვლევის ჯგუფს.
5 ნოემბერს აღნიშნული მოკვლევის ფარგლებში, საბჭომ საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს მოუსმინა.
10 ნოემბერს საბჭო შეხვდა იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც მანამდე მხოლოდ ზეპირი მოხსენებები გააკეთეს.
22 ნოემბერს საბჭომ რიგით მეოთხე ზეპირი მოსმენა ჩაატარა. შეხვედრის ფარგლებში თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფმა საქართველოს შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების, ასევე საქართველოს მთავარი პროკურატურის, უზენაესი სასამართლოსა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მოუსმინა.